

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის პროგრამული ვალდებულებები

labour.ge/ge/%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%

Facebook Google+

საქართველოს ლეიბორისტული პარტიის

პროგრამული ვალდებულებები

ოლიგარქიული წყობილებიდან ეროვნულ, ევროპულ -დემოკრატიულ სოციალიზმამდე

90-იან წლებში, ორასწლიანი შესვენების შემდეგ, დამოუკიდებლობის მოპოვებით გამოწვეული ეიფორია დიდხანს არ გაგრძელებულა. იგი შეწყვიტა შეიარაღებულმა სახელმწიფო გადატრიალებამ, სამოქალაქო ომმა, საერთაშორისო კონფლიქტებმა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონებში, არეულობამ და იარაღის დიქტატურამ, რომლის დროსაც მოხდა ქვეყნის მთელი ეროვნული სიმდიდრის დატაცება, ეკონომიკური ბაზისის ნგრევა—გადანაწილება, ხალხის ქონების მითვისება იმდროინდელი ფსევდოელიტის მიერ, რამაც საფუძველი დაუდო უსამართლო სოციალურ წყობას, მონოპოლისტურ ოლიგარქიულ ეკონომიკას, ყალბ, მოჩვენებით დემოკრატიას, ხელისუფლებაში მოსვლას არჩევნების ტოტალური ფალსიფიცირებით ან უკანონო რევოლუციებით. ყველა ეს პროცესი იგეგმებოდა და ფინანსდებოდა ერთობლივად: შვედრენაძის, შემდგომ სააკაშვილის რეჟიმისა და ოლიგარქიული ზედა ფენის ურთიერთ გარიგებით, რომლის სათავეში, ძირითადად, კრიმინალური წარმოშობის მილიარდული ბიძინა ივანიშვილი იდგა. 2012 წლის 1 ოქტომბრიდან ოლიგარქმა უკვე მოიხსნა ნიღაბი და ოფიციალურად აიღო მთელი ძალაუფლება თავის ხელში. რეჟიმის მეთაურმა ბიძინა ივანიშვილმა შეძლო მთელი პოლიტიკური სპექტრის მოსყიდვა, ელიტის ფულით განეიტრალება, ყველა საკვანძო პოსტზე ოლიგარქიულ-კრიმინალური პერსონების დანიშვნა, ხოლო თვითონ გადავიდა ჩრდილში, გააგრძელა ინკოგნიტო მმართველობა. პასუხიმგებლობა კი მთლიანად მოიხსნა მის მიერ მოტყუებული ხალხის წინაშე. კაცობრიობის ისტორიული ბრძოლის უმთავრესი მიზანი იყო: ძალაუფლება ყოფილიყო ხალხის და არა გამდიდრებული ფენის ხელში, გაყოფილიყო ბიზნესი პოლიტიკისგან. საქართველოში კი ეს ყველაფერი დაიმსხვრა და ხალხი აღმოჩნდა სრული სოციალური გენოციდის საკონცენტრაციო ბანაკში. ეს გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენ ერთხელ და სამუდამოდ არ ვეტყვით უარს პოლიტიკაში ყოფნაზე ყველა ოლიგარქს, არ დავაბრუნებინებთ, რაც მიითვისეს უკანონოდ და არ დავაბრუნებთ მათ თავიანთი საქმიანობის სფეროში (ბიზნესსა თუ ეკონომიკაში) ახალი სამუშაო ადგილების გასახსნელად და ბიუჯეტში გადასახადების გადამხდელად.

ჩვენ გვეშველება მაშინ, როდესაც ქვეყანაში იქნება რაც შეიძლება მეტი მდიდარი და არცერთი მილიონერი პოლიტიკაში!



2016 წლის 8 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებმა უნდა უპასუხოს სწორედ ამ კითხვას: მზადაა თუ არა ქართველი ხალხი, დაიბრუნოს წართმეული ძალაუფლება და თავისი ადგილი მიუჩინოს ოლხოკრატიას. ამ არჩევნებმა უნდა ჩამოგვრეცხოს ის ლაქა, რაც დაგვანდა ივანიშვილის არჩევით, რომელიც მთელმა მსოფლიომ შეაფასა ფულის თაყვანისცემად. ჩვენ ამ ლაქით ვერ ვივლით ქვეყანაში და ამ ლაქას ვერ დავუტოვებთ შთამომავლობას სირცხვილად. იგი ჩვენვე უნდა ჩამოვირეცხოთ. ამრიგად, დღის წესრიგშია არა იმდენად პარტიული კონკურენცია, არამედ ძალაუფლებიდან კლასობრივი მტრის, მილიონერთა კლანის გამოძევება, რაც ძალუძს იმ ხალხს, რომელსაც ფულით ვერ მოისყიდი, ვერცხლს ან რაიმე მატერიალურ ღირებულებას ვერ დაახარბებ.

ლეიბორისტული პარტია, რომელიც მთავარი ალტერნატივაა, ძირითადი პოლუსია არა მარტო ოლიგარქიული ხელისუფლების საპირწონედ, არამედ ყველა პოლიტიკური ძალის ერთად აღებული, იგი იძლევა არა წინასწარჩევნო დაპირებებს, არამედ იღებს ვალდებულებას თითოეული თქვენგანის წინაშე, დაამთავროს 3%-იანი ფულის ტომრების ბატონობა 97%-იან მოსახლეობაზე, ააშენოს ეროვნული, ევროპული, დემოკრატიული სოციალიზმი, სადაც ყველა აუცილებელი სულიერი და მატერიალური სიკეთე სამართლიანად გადანაწილდება ყველა მოქალაქეზე.

ეროვნულ-სახელმწიფოებრივი იდეოლოგია

ქართულისახელმწიფოდაეფუძნებაეროვნულ-ქრისტიანულ, ტრადიციულ, ტოლერანტულღირებულებებს, სადაცყველაეროვნების, ეთნიკურიკუთვებისადააღმსარებლობისადამიანთა უფლებებითანაბრადიქნებადაცული.

სახელმწიფოზრუნვისმთავარიფენომენიგახდებაოჯახი.

ქრისტიანული კულტურა, წინაპართაამაღლებულიტრადიციები, უდიდესიისტორიულიმემკვიდრეობაგახდებამომავალითაობისაღზრდისადაგანათლების სულიერიბაზისი.

მთელმსოფლიოშიგაიშლებაფართოპროპაგანდისტული, სარეკლამომუშაობაქართული ცივილიზაციის, საქართველოს უდიდესიისტორიულიმემკვიდრეობისა დაეკონომიკურიპოტენციალისფართოდგასაცნობად.

პოლიტიკა

ვიღებთ ვალდებულებას, რომ ოლიგარქები განიდევნებიან პოლიტიკის უმაღლესი ეშელონიებიდან და ჩაიკეტება მათი შემოსვლის გზები ხელისუფლებაში. ისინი ვეღარ მიიღებენ გადაწყვეტილებებს ხალხისთვის უსამართლო გადასახადებისა და თავიანთთვის კომფორტული რეჟიმის მოწყობის შესახებ. არჩევითი იქნება მოსამართლეები, პოლიციის უფროსები, სახალხო დამცველი. ქვეყანას ან ეყოლება „ფრანგული მოდელის“ ზომიერად პოლიტიზირებული პრეზიდენტი, რომელსაც აღიარებს მსოფლიო ან ასეთი უფუნქციო პოსტი საერთოდ იქნება გაუქმებული. დაკანონდება დეპუტატის გამონწვევის მექანიზმი, თუ მან შეიცვალა პარტიული კუთვნილება. ხოლო მაჟორიტარი დეპუტატი, რომელიც დაივიწყებს ამომრჩეველს, ამ ინსტიტუტის სრულ გაუქმებამდე, გამონწვეული იქნება ადგილობრივი პლებისციტის გზით. გაუქმდება საშვების სისტემა პარლამენტსა და სამთავრობო სტრუქტურებში. თითოეულ ადამიანს შეეძლება თავისუფლად შეხვდეს ნებისმიერ არჩევით თუ დანიშნულ საჯარო მოხელეს, მოქალაქის მიღებაზე უარის და განცხადებაზე ერთ თვეზე მეტი ხნით წერილობითი პასუხის გაუცემლობაზე დაწესდება სასჯელი შესაბამისი წესით. თანამდებობის პირებისთვის აიკრძალება ბიუჯეტის ფლანგვა პრემიების, ძვირფასი ავეჯის, მრავალშტატიანი აპარატის, ლუქს-კლასის ექსკორტების შესაძენად. სასწრაფოდ გატარდება ისეთი საარჩევნო რეფორმა, რომელიც სამუდამოდ გამორიცხავს ხმათა გაყალბების გზით ძალაუფლების უზურპაციას და საფუძველს ჩაუყრის თანასწორ, სამართლიან, ჭეშმარიტად დემოკრატიულ არჩევნებს ყველა დონეზე.

ეკონომიკა

ეკონომიკა ორიენტირებული იქნება არა მცირე ჯგუფის, არამედ მთელი საზოგადოების კეთილდღეობაზე. მოხდება ეკონომიკის სრული დეოლიგარქიზაცია და დემონოპოლიზაცია. ნიჭიერ ახალ ადამიანებს მიეცემათ ბიზნესის დასაწყებად ყველა საშუალება და მათ პოლიტიკური ძალაუფლებით ვეღარ დაატერორებენ მონოპოლისტი ოლიგარქები.

სტრატეგიული დარგები და ეროვნული სიმდიდრეები გამოცხადდება სახელმწიფო საერთო სახალხო საკუთრებად და შემოსავლები გადანაწილდება თითოეულ ოჯახსა და მოქალაქეზე. უცხოელი ინვესტორები პირველი სამი წელი სრულიად გათავისუფლებიან გადასახადისაგან. საშუალო და წვრილი ბიზნესის განვითარება გახდება პრიორიტეტული, ამისათვის მოხდება ამ ტიპის საწარმოთა სამუდამო ან მრავალწლიანი გათავისუფლება გადასახადებისგან, ფიქსირებული გადასახადის ფართოდ დანერგვა, მრავალწლიანი შეღავათიანი და უპროცენტო კრედიტების გამოყოფა. ბაზრებში გაუქმდება ე.წ. საკასო აპარატები.

სოფელი

ქართული მიწა უნდა დარჩეს საქართველოს მოქალაქეთა განკარგულებაში. სახელმწიფო ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტი გახდება სოფელი, სადაც ცხოვრების პირობები მაქსიმალურად უნდა დაუახლოვდეს ქალაქისას, გაზით, წყლით, გათბობით, გზით, ინტერნეტიზაციით, ყველა აუცილებელი ინფრასტრუქტურით, პატარა ნაკვეთებისგან შეიქმნება მსხვილი ნებაყოფლობითი კოპერატივები, რომლებიც იქნებიან უზრუნველყოფილი შეღავათიანი საგადასახადო, სადაზღვევო, საკრედიტო, მომარაგებითი რეჟიმით. განსაკუთრებული ზრუნვის სფერო იქნება ინდივიდუალური, გლეხური ფერმერული მეურნეობები. ფართოდ უნდა განვითარდეს საკონსერვო, გადამამუშავებელი, მსუბუქი მრეწველობა სოფლის დონეზე. აღდგება ძირითადი სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სავალდებულო სახელმწიფო შესყიდვა-დამზადება საბაზრო ფასებით. უპირატესობა მიეცემა საქართველოში მონეულ უნიკალურ, ეკოლოგიურად სუფთა, არაგენმოდირებული საკვებ პროდუქტებსა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. შეწყდება ხალხის მონამვლა უცხოური მავნებლური საკვებით.

დემოგრაფიული პოლიტიკა

ვალდებულებას ვიღებთ, რომ სახელმწიფოსთვის პრიორიტეტი გახდება ახალი ოჯახის შექმნა, მრავალშვილიანობის წახალისება. ახალდაქორწინებულებს გადაეცემათ ბინები სარგებლობაში სახელმწიფო საბინაო ფონდიდან. მშენებლობის ნებართვის გასაცემად აუცილებელი იქნება ამ ფართში სახელმწიფო ფონდისთვის სივრცის გადაცემა. თითოეულ ბავშვზე დაბადებიდან სრულწლოვანებამდე სახელმწიფო გამოყოფს თანხას. მრავალშვილიანობაზე დაწესდება დამატებითი წახალისების ღონისძიებები. მშობიარობა და წინარე კონსულტაციები იქნება უფასო, ახალდაქორწინებულებს უფასოდ გადაეცემათ ერთკვირიანი საგზური. განსაკუთრებული ზრუნვა დაწესდება მარტოხელა დედებზე.

პოლიტიკა განთლების სფეროში

დაუყოვნებლივ, სახელმწიფოს ხარჯზე მოხდება გადაუხდელობის გამო ყველა სტატუსშიჩერებული სტუდენტის აღდგენა უმაღლეს სასწავლებლებში. შემდგომში, სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში გაუქმდება ყოველგვარი გადასახადი და დაფინანსებას თავის თავზე აიღებს სახელმწიფო. სტუდენტებზე აღდგება სტიპენდიების გაცემა. ასევე, უფასო იქნება მაგისტრატურა, დოქტორანტურა. შემუშავდება ახალგაზრდა სპეციალისტთა სამუშაოზე განაწილების სახელმწიფო პროგრამა. საშუალო განათლება გახდება ათწლიანი. სახელმძღვანელოები სკოლებისა და უმაღლესი სასწავლებლებისთვის იქნება ერთიანი სტანდარტიზირებული და დაფინანსებული საქართველოს მთავრობის მიერ და უსასყიდლოდ გადაეცემა მოსწავლესა და სტუდენტს. ბიუჯეტის ხარჯზე ყოველწლიურად ათასობით წარმატებული

ახალგაზრდა გაიგზავნება უცხოეთის წამყვან უმაღლეს სასწავლებლებში. გლობალურად აღდგება სახელმწიფო საბავშვო ბაღების უფასო ქსელი, სკოლის მოსწავლეებზე თანდათანობით დაინერგება კვების ბარათის გაცემა. გაკვეთილების და ლექციების ჩატარება დაიგეგმება კულტურის, ისტორიის ძეგლებთან, წარმოებებში, დაწესებულებებსა და ლაბორატორიებში. მასწავლებლის ხელფასი თანდათან დაუახლოვდება მოსამართლის ანაზღაურებას. სრულიად აღსადგენია განადგურებული პროფესიული განათლების სისტემა, ბიბლიოთეკები და წიგნადი ფონდები, უფასო მუსიკალური, სპორტული და საგნობრივი წრეები.

პოლიტიკა ჯანმრთელობის დაცვის სფეროში

დღევანდელი ჯანმრთელობის დაცვის სისტემა სიცოცხლით ვაჭრობის გენოციდური მოდელია, სადაც სახელმწიფო წილობრივი გარიგებით პაციენტს სთავაზობს თითქოსდა თანადაფინანსებით გამოჯანმრთელებას, როდესაც ავადმყოფს უხდება საბანკო ვალის აღება, სახლის დაკარგვა და სხვა უმძიმესი შედეგებით ამ მკურნალობის დამთავრება. ვალდებულებას ვიღებთ, რომ ყოველგვარი თაღლითური სადაზღვევო რგოლების გარეშე, სახელმწიფო იქნება პასუხისმგებელი ავადმყოფის გამოკვლევის, თერაპიული ან ქირურგიული მკურნალობის, მედიკამენტებით უზრუნველყოფის და რეაბილიტაციის მთელ კომპლექსურ სპექტრზე, თუ ეს დაავადება სერიოზულად ემუქრება ადამიანის სიცოცხლეს და მას არ გააჩნია მკურნალობის საშუალება. ჩატარდება მოსახლეობის მასობრივი სავალდებულო გამოკვლევა, თითოეულზე შედგება სამედიცინო პასპორტი. დაფასებული იქნება ექიმის განუმეორებელი როლი, რომელიც დღეს რეკეტის ობიექტია სამედიცინო დაწესებულების მფლობელთა მხრიდან და რომელსაც ურთულესი ოპერაციებისა თუ მკურნალობის ჩატარებაში სთავაზობენ უმცირეს ანაზღაურებას. დაიწყება ყველა რეგიონში უფასო რეგიონალური საავადმყოფოების გახსნა. დაინერგება სასწრაფო სამედიცინო დახმარება სპეციალური შვეულმფრენებით, კრიტიკული შემთხვევებისათვის. ყველგან ქალაქებში, მასობრივი თავშეყრის ადგილებში გაიხსნება უფასო სამედიცინო პუნქტები, რომელიც აღჭურვილი იქნება გულის მუშაობის აღმდგენი აპარატებით, არტერიული წნევის გაზომვის და კარდიოგრამის გადასაღები მონწყობილობებით.

პოლიტიკა შრომითი უფლებების სფეროში

შრომითი უფლებების მიმართულებითაც დღევანდელი ეპოქა საქართველოში შუასაუკუნეობრივი მონობის ნაირსახეობაა. დაწესდება შრომის მინიმალური ანაზღაურების ღირსეული ოდენობა. სრულყოფილად აღდგება შვებულებების, ბიულეტენების, დეკრეტული შეღავათების მთელი სისტემა. დაქირავებული კანონით იქნება დაცული დამქირავებლის თვითნებობის, უსულგულობის, უკანონო ქმედებათა საფრთხისაგან. მთავრობაში შემოღებული იქნება შრომის დაცვის მთავარი რწმუნებულის პოსტი.

სოციალური პოლიტიკა

სოციალური სტრატეგია დააეფუძნება მიზანს: ადამიანს შეუქმნას საკუთარი ნიჭისა და უნარის გამოვლენის ფართო სარბიელი. უპირველესად, დასაქმებისა და ღირსეული ანაზღაურების გზით. დაინერგება უმუშევრობაზე კომპენსაციების გაცემის სისტემა, სოციალურად დაუცველთა მიმართ გამარტივდება ქულების შეჯამების მექანიზმი ყოველგვარი შეურაცხმყოფელი და მოგონილი კრიტერიუმების გარეშე. სოციალურად უმწეოთათვის, ვეტერანების, ინვალიდების, შეზღუდული შესაძლებლობის პირთა დასახმარებლად დაწესდება სიმდიდრის გადასახადი, შეიქმნება ფონდი, რომელიც უზრუნველყოფს ამ კატეგორიის ადამიანთა ღირსეულად ცხოვრებას. დაწესდება პირველადი მოხმარების პროდუქტებსა და მედიკამენტებზე ფასების მაქსიმალურად დასაშვები ზღვარი. აუცილებლად და პროგრესულად დაინერგოს ყაჩაღური, დაუსაბუთებელი ტარიფი ელექტროენერჯიაზე, გაზზე, წყალზე, კომუნალური მომსახურების სხვა სეგმენტებზე.

საპენსიო რეფორმა

დღეს არსებული პენსია წარმოადგენს დაცინვას ხალხზე. პენსია გადაანგარიშდება სტაჟისა და დამსახურების მიხედვით, საპენსიო ასაკი თანდათანობით მამაკაცებისთვის დაინწევს 60 წლამდე, ქალბატონებისთვის – 55 წლამდე. დაწესდება მე-13 პენსია, რომელსაც მიიღებს პენსიონერი თავის დაბადების დღეზე. 80 წლიდან პენსიას დაემატება ხანდაზმულობის კომპონენტი, ყოველ წელზე 100 ლარის ოდენობით.

სამწუხაროდ, დღეს გაცემული ყველა დაპირება პენსიის ტოტალურ ზრდაზე სრული სიცრუეა, იგი მოხდება თანდათანობით ეკონომიკის გაძლიერების და ბიზნესის განვითარების კვალდაკვალ.

საბანკო რეფორმა

დამთავრდება საბანკო-მონოპოლისტური დიქტატურის ეპოქა. საქართველოში დღევანდელი საბანკო ორგანიზაციები წარმოადგენენ არა ბიზნესის განვითარებისა და ადამიანის კეთილდღეობის წყაროს, არამედ მორალური და ფიზიკური ტრაგედიისა და ბიზნესის მოხრჩობის კრიმინალურ სტრუქტურებს. ბანკირები, იმავდროულად, წარმოადგენენ სახელმწიფოს მართვის და გაბატონებული პოლიტიკური ელიტის სანდო ფიგურებს, რასაც იყენებენ ბოროტად. მათი ჩამოცილება ხელისუფლებისგან პირველი ნაბიჯი იქნება ბანკების გაცივილურებისაკენ. პირველ რიგში დადგინდება ბანკებისთვის სესხის საშუალო ევროპული ოდენობა და საბანკო პროცენტი არ გადააჭარბებს 7 პროცენტს. ვინც არ დაემორჩილება ამ წესს, დაიხურება და მოხდება მისი ნაციონალიზაცია. სამუდამოდ გაუქმდება მძარცველი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები თავისი ყაჩაღური პროცენტებით, დაიხურება ყველა ონლაინ-სათამაშო სტრუქტურები და ყველა კაზინო გადავა ქალაქიდან შორს, ახალგაზრდებისთვის ძნელად მისადგომ ადგილებში, სპეციალურ ზონებში.

დაკარგული ანაბრები - სხვა კატეგორიის დაზარალებულები

ჩვენი ანაბრები არსად დაკარგულა, იგი მიითვისა 90-იანი წლების ქაოსში მმართველმა ზედაფენამ და კონკრეტულმა დღეს მოქმედმა ბანკირებმა. შესაბამისად, დაიწყება ანაბრების დაბრუნების ეტაპობრივი პროცესი უფროსი ასაკიდან ქვევით, სამართლიანი კურსით და მემკვიდრეების გათვალისწინებით. ამ დაწყებულ პროცესს კი ვერავინ გააჩერებს. ასევე, სახელმწიფო პოლიტიკის აქცენტები გადავა მიწისძვრით, ბუნებრივი კატაკლიზმებით დაზარალებულთა კომპენსირებაზე, დაზარალებულ მენაშენეთა, კორპორაციულ ბინათმშენებელთა და იპოთეკართა პრობლემების გადაწყვეტაზე.

შეიარაღებული ძალები, პოლიცია და სხვა ძალოვანი სტრუქტურები

ქვეყნის, პიროვნების უსაფრთხოება ვერ იქნება დაცული ძლიერი შეიარაღებული ძალებისა და კარგად უზრუნველყოფილი პოლიციის გარეშე. რთულ გეოპოლიტიკურ ვითარებაში მყოფი ჩვენი ქვეყანა, რომელსაც ასევე გადასაწყვეტი აქვს კრიმინალთან, მოახლოებულ ტერორიზმთან, ნარკობიზნესთან, იარაღის და ბირთვულ ნივთიერებათა კონტრაბანდასთან ბრძოლის პრობლემები და რაც მთავარია, წინ გველის დეოკუპაციის პროცესი, ვალდებულია ყოველდღიურად ზრუნავდეს თავის დამცველებზე, რომლებსაც ფრონტის წინა ხაზზე უნევთ მოღვაწეობა. აღდგება პრემიების და ნახალისების სისტემა შინაგან საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს სტრუქტურებში. სამხედრო მოსამსახურეებზე, პოლიციის მუშაკებზე გაიცემა გრძელვადიანი უპროცენტო კრედიტები, მოხდება მათი შრომის ანაზღაურების პროგრესული სისტემური ზრდა. მიღებული იქნება მათი და მათი ოჯახის წევრთა დაცვის რეალური საკანონმდებლო რეგულაციები.

საგარეო პოლიტიკა და დეოკუპაცია

საქართველო რთულ მდგომარეობაშია. იგი ძირითადად მოქცეულია მტრულ გარემოცვაში. მისი ტერიტორიის 20 % -ი ოკუპირებული აქვს რუსეთის ფედერაციას და არ სურს დეოკუპაციის პროცესის დაწყება, არც უვიზო რეჟიმის გახსნა. პირიქით, გამოიკვეთა სამიში ალიანსი რუსეთ-თურქეთ ირანის მონაწილეობით, სადაც ითრევენ ჩვენს მეზობელ აზერბაიჯანსა და სომხეთს. ნეიტრალიტეტის მატარებელმა ჩაიქროლა ათეული წლის წინ, როდესაც მაშინდელმა ხელმძღვანელობამ უარყო ეს მოდელი, რაც მაქსიმალურად აგვაცილებდა შემდგომ განვითარებულ უმძიმეს მოვლენებს. დღეს, ერთადერთი ჩვენი უსაფრთხოების გარანტი ამერიკის შეერთებულ შტატებია, თავისი უძლიერესი სამხედრო პოლიტიკური და ეკონომიკური პოტენციალით, როგორც მსოფლიოს ლიდერი სახელმწიფო, რისთვისაც ამ ქვეყანასთან გასაფორმებელია ურთიერთთავდაცვის ხელშეკრულება, შემდგომში უვიზო მიმოსვლისა და თავისუფალი ვაჭრობის შემოღებით ჩვენს ქვეყნებს შორის. საგარეო პროდასავლური კურსი დარჩება უცვლელი. მიღებული იქნება შესაძლო ზომები რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობათა დასარეგულირებლად, ისე რომ არ დაზიანდეს სახელმწიფოებრივი ინტერესები. ჩატარდება აფხაზეთის უმაღლესი საბჭოსა და ცხინვალის რეგიონის წარმომადგენლობითი საბჭოს ახალი არჩევნები ლტოლვილთა და დევნილთა მონაწილეობით. ეს ორგანოები იქნებიან არა თავის თავის მსახური, არამედ დევნილთა პრობლემების დამცველი და მათი ინტერესების ლეგიტიმური წარმომადგენელი საშინაო და საერთაშორისო ურთიერთობებში. ყველა სეპარატისტ თანამდებობის პირზე, ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში, გაიცემა დაპატიმრების სანქციები და გადაეცემა ინტერპოლს საერთაშორისო ძებნისათვის. ჩვენი მოქალაქეების ხელყოფის, უკანონო ბორდერიზაციის ნებისმიერ ფაქტზე, ოკუპანტები მიიღებენ უმკაცრეს სახელმწიფოებრივ პასუხს შიდა და საერთაშორისო საშუალებებით გაეროს უშიშროების საბჭოსა და სანქციების დონემდე. გასაგრძელებელია გამოძიება აფხაზეთში ქართველთა მასობრივი გენოციდისა, ასევე, გამოსაძიებელია დღესაც ქართველთა მონური მდგომარეობა ოკუპირებულ ტერიტორიებზე. პასუხისგებაშია მისაცემი და დასასჯელია ყველა ის პირი მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნიდან, ვინც მონაწილეობდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ ბრძოლებში, გაგრის ტრაგედიაში, სოხუმის აღებაში, ტამიშის სპეცოპერაციაში, ჟიული შარტავას და სხვა მოქალაქეთა დახვრეტებში. ეს დამნაშავენი ჩამოყვანილ უნდა იქნან საქართველოში გასასამართლებლად, ამისათვის უნდა გაძლიერდეს სპეცსამსახურები.

პოლიტიკა ემიგრაცია- იმიგრაციის სფეროში

დღევანდელ მსოფლიოში, განსაკუთრებით ჩვენს გარშემო მიმდინარე პოლიტიკურ, სამხედრო კატაკლიზმების ფონზე, განსაკუთრებით იზრდება ქვეყნის დაცვის აუცილებლობა უკანონო მიგრაციისაგან. საჭიროა კანონმდებლობის გამკაცრება, რათა ქვეყანა არ წაღვეკოს მიგრანტთა ტალღებმა, რომლის მატების საშიშროება გაიზრდება ქვეყნის განვითარებისა და ეკონომიკის გაძლიერების ფონზე. საჭიროა უპირველესად დავიცვათ ჩვენი შრომითი ბაზარი უცხო მუშა ხელისგან. სასწრაფოდ შესაქმნელია მიგრაციის კონტროლის კომისარიატი. იმავდროულად სახელმწიფომ სასწრაფოდ უნდა გაატაროს ყველა ზომა მილიონზე მეტი უცხოეთში გადახვენილი საქართველოს შვილთა უკან დაბრუნების, მათი სათანადოდ მოწყობისა და ადაპტაციისთვის, რისთვისაც შეიქმნება დაბრუნების ფონდი. მსოფლიოს ყველა ქალაქში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ქართველები, უნდა გაიხსნას საკვირაო სკოლები ბიუჯეტის ხარჯზე, რათა იქ დაბადებული მომავალი თაობა გაიზარდოს ქართულად. მასობრივად უნდა მიენიჭოთ ორმაგი მოქალაქეობა ჩვენს ემიგრანტებს, რომლებიც ცხოვრობენ ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ ქვეყნებში.

მეცნიერება და ხელოვნება

უმძიმესმა წლებმა დაანგრია და ბოლო მოუღო მსოფლიოში აღიარებულ ქართულ მეცნიერებას, განადგურდა სამეცნიერო კვლევითი დაწესებულებები, შეწყდა გლობალური კვლევები, სამოღვაწეო სფეროდან განიდევნენ მეცნიერთა და მკვლევართა მთელი ჯგუფები. სახელმწიფო შექმნის მეცნიერების განვითარების ფონდს, საიდანაც დაიწყება კვლევითი საქმიანობის აღდგენა და დაფინანსება. მოხდება ქართველ მეცნიერთა სტაჟირება უცხოეთის ნამყვან სამეცნიერო დაწესებულებებში. ეროვნული მეცნიერება კვლავ გადაიქცევა საზოგადოების, ეკონომიკის, ინოვაციების, პროგრესის გენერატორად. ყოველგვარი

სახელმწიფო პატრონობის გარეშე დარჩა მსოფლიოში ცნობილი ქართული ხელოვნება, მისი ყველა დარგი და სფერო. დაანგრეს მანამდე არსებული სისტემები და არ შექმნეს ახალი ინსტიტუტები. საჭიროა აღდგეს შემოქმედებითი კავშირები, რომლებსაც დააფინანსებს ბიუჯეტი კერძო ბიზნესთან ერთად. ეს ეროვნული იდეოლოგიის, ჩვენი სულიერი უკვდავების აუცილებელი გარანტიაა.

სახელმწიფო და ეკლესია

ქართული მართმადიდებლური ეკლესია ჩვენი ისტორიული არსებობის ციტადელია, რომელიც უნდა ემყარებოდეს რუის-ურბნისის კრების უდიდეს მემკვიდრეობას, რომელმაც თავის თავზე უნდა აიღოს ბრუნვა ქვრივ-ობლებზე, შებლუდული შესალებლობების პირებზე, უსახლკაროებსა და მიუსაფრებზე, მაქსიმალურად უნდა შეენწყოს ხელი უფასო საეკლესიო რიტუალებს გაჭირვებულთათვის, როგორცაა ნათლობა, ჯვრისწერა, კურთხევა, პანაშვიდი, წესის აგება. ეს კიდევ უფრო გააძლიერებს ხალხის ნდობას და სიყვარულს დედა ეკლესიისადმი. იმავდროულად, ღვთისმსახურნი უნდა ეწეოდნენ მრევლისათვის მისაღებ ასკეტურ და სულიერ ცხოვრებას და პირად მაგალითს უნდა აძლევდნენ ხალხს უანგარობის, არავერცხლმოყვარეობის. ღვთისმსახურნი არ უნდა ერეოდნენ პოლიტიკასა და სახელმწიფო ორგანოების საქმიანობაში, მით უფრო დაუშვებელია საარჩევნო ბატალიებში მათი ჩარევა და მონაწილეობა. სახელმწიფო ყოველმხრივ შეუწყობს ხელს ეკლესიის გაძლიერებას, ამასთან ჩვენი ხალხის ტოლერანტობიდან გამომდინარე, უდიდეს პატივისცემას იმსახურებენ ყველა რელიგიის მიმდევარნი, რომლებიც ჩვენს გვერდით ცხოვრობენ.

სპორტი და ტურიზმი

უდიდესი მნიშვნელობა მიენიჭება ახალგაზრდა, ჯანმრთელი თაობის აღზრდას, რაც შეუძლებელია მასობრივი სპორტის ფართოდ განვითარების გარეშე. ქალაქის ყველა უბანში, სოფლებში, დაბებში დაინიშნებიან სპორტული ორგანიზატორები, რომლებიც მასობრივად ჩააბამენ ახალგაზრდებს სპორტში, შეარჩევენ და აღზრდიან მომავალ სპორტულ და ოლიმპიურ ვარსკვლავებს, შეიზღუდება სპორტული ფედერაციის ბობოლა ჩინოვნიკებისათვის ზღაპრული ხელფასები და ეს თანხები გადაიწილდება სპორტის მასობრივ განვითარებაზე. ასევე შეიქმნება სპორტის განვითარების სპეციალური სახელმწიფო ფონდები, ახალგაზრდების ყოველმხრივი ხელშეწყობისათვის. რეგიონებში გაიხსნება უფასო სპორტული კომპლექსები მოზარდთათვის.

საერთაშორისო ტურიზმი, არამართო მთელი მსოფლიოსთვის ჩვენი ქვეყნის გაცნობისა და ეროვნული იდეოლოგიის უმნიშვნელოვანესი პოლიგონია, არამედ მსხვილი, საშუალო და საოჯახო ბიზნესის განვითარებისთვის უძლიერესი სტიმულიცაა. ფართოდ განვითარდება საკურორტო ინფრასტრუქტურა წელიწადის ოთხივე დროს, შესაბამისად საოჯახო ტურიზმი მთლიანად განთავისუფლდება გადასახადისაგან. ასეთ ოჯახებს მიეცემა ხანგრძლივადიანი უპროცენტო კრედიტები.

მთის რეგიონების განვითარება

თუ მთიდან წამოსულ მოსახლეობას მასობრივად არ დავაბრუნებთ მთაში, ეს საქართველოს დასასრული იქნება. ამიტომ ყოველმხრივ შეენწყობა ხელი ამ პროცესის დაჩქარებას. მთის ზონა დაიყოფა კატეგორიებად. უმაღლეს კატეგორიებში მცხოვრებთ ექნებათ ყოველთვიური კონპენსაციები სახელმწიფოსგან ოჯახის წევრთა რაოდენობის მიხედვით, ისინი გათავისუფლდებიან ელექტრო-ენერჯის, გაზის, მინის და ყველა გადასახადისგან. მათ მიეცემათ შეღავათიანი უპროცენტო კრედიტები მრავალი წლით, ამ ზონებში გახსნილი წარმოება და ბიზნესსაქმიანობა ასევე გათავისუფლდება გადასახადისგან.

ეკოლოგია, ბუნების დაცვა, ფლორა და ფაუნა

საქართველო უნიკალური კლიმატური საოცრებების გზაჯვარედინია, თუმცა უკონტროლო სამრეწველო გამონაბოლქვებით, ავტოტრანსპორტის, განსაკუთრებით უცხოური სატრანზიტო ტვირთგადამზიდი

საშუალებებით ისეა დაბინძურებული ჰაერი, რომ ჩვენ ვდგავართ ეკოლოგიური კატასტროფის წინაშე. განსაკუთრებით დაბინძურებული ჰავაა თბილისში, კასპში, რუსთავში, ჭიათურაში, ზესტაფონში, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში. შესაბამისად მომატებულია საერთო სიკვდილიანობა მოსახლეობაში, მკვეთრადაა გაზრდილი სასიკვდილო დაავადებების დინამიკა. ვალდებულებას ვიღებთ, რომ არცერთი საწარმო არ იმუშავებს, თუ არ დამონტაჟდა გამწმენდი თანამედროვე მოწყობილობა, მკაცრად გაკონტროლდება უცხოური მძიმე ტრასპორტიდან და საერთოდ გამონაბოლქვის დასაშვები ამპლიტუდა, აიკრძალება ქვეყნიდან ხე-ტყის მასობრივი გატანა, ჩვენი ბუნებრივი მწვანე საფარის მოჭრა-განადგურება. განახლება ტყეთა აღდგენისა და გაშენების პროცესები, გამოიყოფა სახსრები ეროზიის, მენყერული მოვლენებისა და ზვავური პროცესების დასარეგულირებლად. უნიკალური წყლის რესურსები ჩადგება ჩვენი ხალხის სამსახურში და არ დაიშვება მათი გადაქაჩვა მეზობელ სახელმწიფოებზე კრიმინალური ბიზნეს-გარიგებით, როგორც ამას აპირებენ დღეს. შეჩერდება, დაკონსერვდება, გადაისინჯება დამანგრეველი ჰიდრო პროექტების რეალიზაცია მთიან აჭარაში, ჭოროხის ხეობაში, თერგის ხეობაში, ენგურის, სვანეთის მონაკვეთზე, რაჭაში და ყველგან, სადაც ჩვენი ბუნების განადგურების, ეკომიგრაციის, მენყერების, ზვავების და ბუნების გადაგვარებისთვის სახელისუფლო ოლიგარქების მიერ ხორციელდება ჰესების მშენებლობა, რაც ჩვენი ხალხისთვის და მთლიანად მიმდებარე რეგიონისათვის ეკოლოგიური გენოციდის ტოლფასია. საქართველოში მობინადრე უნიკალური ფაუნის დასაცავად შემუშავდება მტკიცე სახელმწიფო პოლიტიკა, განსაკუთრებული დაცვის ობიექტი გახდება განადგურების პირას მყოფი სახეობების გადარჩენა და მომრავლება, გაფართოვდება დაცული ტერიტორიების სივრცე, გაძლიერდება მათზე სახელმწიფო ბრუნვა და ყურადღება. შინაური და გარეული ცხოველებისადმი ჰუმანური მოპყრობა უნდა გადაიქცეს საბოგადოებრივი ცხოვრების წესად. **საქართველოს კიდევ აქვს შანსი და რაც მთავარია, ყველა ადამიანი და ბუნებრივი რესურსი, უმოკლეს დროში დაძლიოს 20 წლიანი გამყინვარება, რაც მას დააყენებს მსოფლიო პროგრესის მონინავეთა ფლანგზე, აღადგენინებს იმ დიდებას, რასაც ჩვენი სამშობლო ყოველთვის იმსახურებდა, მაგრამ ვერ აღწევდა უნიათო, კორუმპირებულ და არაეროვნულ ხელისუფლებათა გამო. ჩვენ ხალხს დღეს ძალიან მოსწონს მრავალი წლის უკან (მაშინ ირონიით აღქმული) ლეიბორისტული პარტიის სლოგანი, „ერთხელ მაინც გვანდეთ ქვეყანა“, დიახ, ჩემო ძმებო, დედებო, მამებო, შვილებო, შვილიშვილებო, ბებიებო და ბაბუებო, უნდა გვენდოთ, ეს არის ისტორიის და განგების მოთხოვნა. გფარავდეთ ღმერთი, ჩვენ მხოლოდ გამარჯვების უფლება გვაქვს!**

არჩევანი ერთია! ან ჩვენ ან არავინ!

[Facebook](#) [Google+](#)